



წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალ-
 კე ნომერი 10 კ.-ხელის-მოწერა მიიღება „სო-
 რაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифლისь
 Ред. „Театри да Цховრება“ I. Имедашвили

შასი
 10 კ,

შაბათი, 10 ღვინოთხელთა. № 41—1915



პირველი მღვდის ნაცვალის ქართული ჟარგონდგენის კომპოზიცია
 (პ. უმიკაშვილის „სამზადისი“-დან)

10 ღვიწკისთვე

კანდელი თბილის ს ოპერა, რუსული
ჩამქრალია! ჩამქრალია! დრამა, პროფექტორები,
კლუბები ყოველ ღამე გა-
ჩაღებულია! ქართული თეატრის კანდელი კი
ჩამქრალია...

ქართული დრამატიული დასი არსა-
და სწანს...

ჩვენი მოზარდი თაობა, საშუალო სას-
წავლებელთა ქართველი მოწაფენი, დემო-
კრატიული ინტელიგენცია, ესთეტიურად გე-
მო-გახსნილი ქართველი მაყურებელი იანა-
იანა დადის, ნატრობს ქართულ წარმოდგე-
ნას, მაგრამ რაკი სამშობლო სცენის კარი
დახშულია, ძალაუნებურად, უცხო გასართო-
ბებს ეტანება: თვისი ფულით სხვის სალა-
როს ამდიდრებს, სხვისი ნააზრ-ნაფიქრით თვით
იკვებება...

ყველა სარწმუნოების ქართველმა კისე-
რი მოიფხანა და ჰსურს კვილ-დ მშობლიური
ქუძუთა ისაზრდოვოს: ქართველი ებრაელები,
ქართველი გრიგორიანები, ქართველი მაჰმა-
დიანები, ქართველი კათოლიკნი სამშო-
ბლო — ქართულ სცენისკენ მიილტვიან, მა-
გრამ სადაა იგი?

ჩვენ სახელოვნო-კულტურულ დაწესე-
ბულებათა მესვეურნი-კი ურთიერთს ეკაპაიფე-
ბიან და იმას ვერ ამჩნევენ, კოზაკი რომ
შუაში იქცლიტება...

ნუ თუ, ვისაც ვვადება, კვირა-უქმე
დღის დიღებს მაინც ვერ იშოვნის დიდს
თეატრებში, რომ სამოწაფეო იაფა და რი-
გიანი წარმოდგენები გაართონ ქართველ
მოზარდთა წყურვილის მოსაკლავად?...

ჰქენით მადლი — კანდელი ანთეთა!...

ძალა —

უფლება

საქართველო მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი
და უფლება-მოსილი, როდესაც ერთ მთლი-
ან სხეულს წარმოადგენდა, ერთის რწმენით,
ერთის მისწრაფებით შედუღებულს...

ხოლო ერთობა რომ ძალასა ჰქმნის,
ძალა-კი — უფლებას, — არც ესაა საკაპაითო...

ჩვენ-კი, ჩვენის დაუდევრობით და, უმე-
ტეს, ურთიერთის ქირდენით, ძალაც დაე-
კარგეთ, უფლებაც...

ღღეს ამ დაქსაქსულ ძალთა შემოკლება
გვმართებს...

ერის ძალასა ჰქმნის მი ყოველ შვილ-
თა ერთ მიზან-შეწონილი, შეთანხმებული
კულტურულ-ეკონომიური მუშაობა, ერის
განზევად-დასუსტება სწორედ მაშინ იწყება,
როდესაც მისი ერთი ნაწილი უპირატესობის
გზას დაადგება მეორის ხარკით...

და ნურავინ იფიქრებს, ვითომც საქართვე-
ლოს კეთილდღეობა შესაძლო იყო ერთი
რომელიმე წოდების დაწინაურებით. ჩვენი
ქვეყნის წინსვლისთვის საჭიროა ძლიერი
კომერსანტი-ვაჭარიც, მკოდნე მიწის მფლო-
ბელი მეურნეც, ხელოსანი-მუშაც, ეჭი-
მიც, ვეჟილი — კანონმეტყველიც, ხუროთ-
მოძღვარიც, მასწავლებელი-აღმზრდელიც,
სხვადასხვა დარგის ხელოვანიც და სხ., ერ-
თ ს სიტყვით, მთელი ერის შედუღება...

დაე, ყველას თავისი საკუთარი, კერძო
მისწრაფება მოთხოვნილებანი ჰქონდეს, მა-
გრამ ენა, გვარტომობა, საუკუნოებით შე-
თვისებული კულტურა ზომ ერთი გვაქვს და
ერთი მიწა-წყლის შვილნი ვართ!..

განა ხშირად ერთი ოჯახის შვილთ-კი
არა აქვთ შ ნაურობაშა სხვა და სხვა საქმე
და უთანხმოებაც? მაგრამ ამის გამო საერთო
ოჯახს როდი აქცევენ: ერთი ბალ-ვენახებს
უფლის, მეორე — ცხვარ ძროხას, — შესაფ მინ-
დორ-ვცლს, მეოთხე — ურემ-ქირაზე დადის,
ერთი უფრო მეტი მორწმუნეა, ეკლესია-
ჯვარობის თავყანისმცემელ, მეორე ნაკლე-
ბი, მაგრამ ყველანი სავრთო მშობლიურ
კერას არიან შეფარებულნი და ოჯახის კე-
თილ-დღეობისთვის ერთ მტკიცე ზნეობრივ
ს ვალდებულო კანონს ემორჩილებიან...

ჩვენ კი?

წინადაც გვითქვამს, წარსულში თუ კუთხური „მამული“ შეილობა, შენ-ჩემობა გვაფორიაქებდა, დღეს დასურ-ჯგუფური განხეთქილება გვდარღვნი, — ეს ერთის მხრით, მეორე: უკულმართი, უფრო ჩვენი არსებობის საწინააღმდეგო გეგმით მოწყობილ, სწავლა-აღზრდის მოწყალე-ებით სრულიად მოგწყდით მშობლიურ კულტურას, დედა სოფელს, მიწა-წყალს... იქამდე დავიშხაშხენით, რომ ჩვენის ქვეყნის ასაყვავებელ გამძლიერებელ ცოდნის მაგიერ სალაყბო განათლებით ვიჭურვებით, რომელიც, შეიძლება ყველგან გამოდგეს სამოხ ლე-დ; ჩვენში კი არა...

— ოცი, ოცდა-ათი წელიწადია, რაც ასეთი უკულმართობისა და ჩვენი დაქსაქსული, წყალ-წყალა „მარკაწობის“ საწინააღმდეგო ხმა ისმის, ბევრი ჩვენგანი ცალკაღვე დიდ გეგმასაც ადგენს, მაგრამ მთლიანი გარკვეული, ჩვენი არსებობისთვის შესაფერი მსოფლმხედველობა-კი ვერ შევიმუშავეთ, რომ ყველა ქართველი, — რა საჩუმუნებასაც უნდა აღირგბდეს — ქრისტიანი, მაჰმადიანი, კათოლიკე, გრიკორიანი თუ სხვა; თავადი, გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, მუშა, თუ მოხელე, ერთი ქართველური შეგნებით გათვითცნობიერებული მას გაყვეთ...

ამიტომაც ბევრი ჩვენი გულის ნადები, ჩვენი ნაინატი სურვილი განუზორციელებელი რჩება; ხმად მლაღადებლისად უღაბნოსა შინა... რათა?

მადა, რომ რეალური ძალა — ძალა ერთიანობისა ვერ შეგვიქმნია, ისეთი ძალა, რომელაც ყოველი ქართველი მოწიწებით დაემორჩილოს, მისი ყოველი დადგენილება გარდუვალ კანონად დაისახოს, და გარეშეშეშე ანგარიში გაუწიოს.

ამიტომაც გემართებს დროით ვიზრუნოთ ეროვნულ თანხის შესაქმნელად, არა მხოლოდ ნივთიერი თანხისა, ჩვენს პრესაშიაც რომ რამდენჯერმე მოიხსენიეს, არამედ ცოცხალი ძალისა: ახალი თაობა ისეთი გეგმიით აღუზარდით, რომ მამულ-დედულს არ მოსწყდეს, უცხო კულტურის შესწავლისათან ერთად მშობლიურ კულტურას არ განეყაროს და თავს მუდამ თავის მამულის შეილოდ ჰგრძნობდეს. ასეთი თანხის შედგენა-კი მაშინ შეგვეძლება, როდესაც, როგორცა ვსთქვით, მთელი საქართველო შვი ღღვიჯან კასპის ზღვამდე და აგრძედე ყოველი ქართველი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, ერთი მეორეზე მტკიცედ იქნება დაკავშირებული, ერთის გულისცემით აღგზნებული... როდესაც ბურჟუა, არ სტოკრატი, თუ დემოკრატი, სოფლელი თუ ქალაქელი, სოცილისტი თუ კერძო საკუთრების დამცველი, ქვეყნის შუა გული თუ განაპირა ნაწილი, მხოლოდ ერთის მიზნის გარშემო შემოკრება... მაშინ ქართველის სიტყვის გასაფალი ექნება, სურვილს — ძალა, ძალას-კი — უფლება...

როგორია ამის მსაღწევი პრაქტიკული გზა?



კ დ ბ ა ლ მ ო ნ ტ ი დ ა ნ ზ ა ო ბ ი

ოჰ, ეს სიცოცხლე, უბადრუკა, გაცოცხებული, უქარიშხალო, უგრძნობელი, უხმო, უძრავი! არც კენესა, სწარე, არც სიმღერა აღფრთოვნებული, არც ღამე, ბნელი არც დღე, მზარწყინავი!

ბინდი, ბურუსი, ძლივს-ღა ჩვეუტავ მკრთალ სინათლეში არეულია სახეები და ფერადები და სუნთქვენ ამ მცვდარ დუმილისა საბჭანებელში მხოლოდ ყვავილნი, შხაუნი ნები.

და ღომფოშონი, საზიზღარნი ქაობის შედნი დრო და დრო შინარ შამ-ქენქყოდან ამოძვრებაან და, რომ ცხოვრობენ აქ, სიამით თითქო აღვსილნი, საზარ ფერხულში ჩაებმებიან!

დუტუ მგვრელი



სიცოცხლე!.. სიცოცხლე!

(ავადმყოფის დღიურიდან)

გაზაფხულის საღამოს ხალხი ქალაქიდან ტყისაკენ მიეშურება სასიერნოდ.

არე-მარე კვლავ გამოცოცხლებულია. ბუნება ხარბათ დასწაფებია ცხოვრების ნექტარს. ყოველი ბალახი, ყოველი ფოთოლი ხარობს, შრიალებს, და ათასნაირ ჰანგზე მღერის ცხოვრების სასიხარულო სიმღერას... ნაკადულიც ბანს აძლევს ბუნების ტალღათას სრბოლას. იგიც მზიარულად მილიკლიკებს ტყას გვერდით. იგი ხტ-ს, იგიც ხარობს, რომ ბუნებას კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე, რომ მისი მეგობარი ბუჩქები და ხეები კვლავინდებურად შრიალებენ, ძველებურად უფლიან ფოთლები ნელი ქარის სისინზე მზიარულ ფერხულს...

მზიარული ჩიტები კვლავ დაჰბრუნებთან თავიანთ ძველ ბუდეებს და დილიდან საღამომდე ახალ ცხოვრებისათვის ზრუნავენ... ჭიკჭიკით ამზიარულებენ ტყესა და ველს. ხის ლურჯი ბაყაყებიც-კი სითბოს გარეთ გამოუვანია. ირგვლივ შეუწყვეტლივ გაისმის მათი მზიარული „ყა, ყა, ყა, ყა“, თითქოს რაღაცა სასაცილო რამ დაინახეს და მახე ხარხარებენო... ყოველი ხილამ მოისმის მათი ყიყინი და შორიდან ადამიანს გონია, რომ მთელი ტყე ხარხარებს, იცინის და ტაშს უკრავს სიხარულითო...

და ყველა სიხარულით მოდის ამ ტყისაკენ — ეტლით, ქვევითით. აგერ ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხელი-ხელ ჩაკიდებული მზიარული სიცილით მიყვებოან ტყისაკენ გზის ნაპირას, აგერ ეტლით გაიჭროლა ვილაც ჩასუქებულმა კაცმა მსხვილი სიგარით პირში... იქ ყმაწვილებს სუფრა გაუშლიათ მდგელოზე და მათა ს მღერა-სიცილი არეს ედება. აი, კადვე ქალ-ვაჟი... ესენი კი ჩუმაღ მ დიან, არ ლაპარაკობენ... არა, იცინიც ლაპარაკობენ... და როგორ მგრძნობ-ერთა... განა ენით გამოთქვამს კაცი იმას, რასაც ხანდისხან საყვარელი არსების მკლავ უცმოა ყრილი მკლავი იტყვის? ილაპარაკეთ. ისაუბრეთ, მეგობრებო!..

აი მეც ნელ-ნელა მივდივარ ტყეში.

ძლივს, მეც აქ მოველ, დავახწიე თავი ჩემს ბნელ საკანს... მოვშორდი ტანჯვის სარტყელს... კმარა, მე აღარ შემიძლია მეტ ხანს წოლა.. მეც სიცოცხლე მინდა, მინდა სხეილი ბედნიერებით მაინც დავსტკბე. სხვის ბედნიერებას მაინც უტკბირო!.. მივდივარ.. მაგრამ, აჰ!.. ამ გორაკზე უნდა შევესვენო, აღარ შემიძლია... ლურსმანსავით მომწოლია რაღაცა გვერდში, თითქოს მის გახვრტას ლამობსო... ეს ხველა კიდევ... ეს ხველა. ოჰ, ღმერთო ჩემო, როდის რა მეშველება... რა უნდა უყო ამ ხველას!?

აი, ორი ქალ-ვაჟი მოდის ზევით... მომიხლოვდენ... გაკვირვებით მიცქერენ, თუ როგორ ვიხრჩვები ხველებით, ხის ძირას მწოლარე .. გვერდი ამიარეს...

— ეი, მეგობარო... კოხის ბაცილებს წინააღმდეგ არ არის რაიმე საშუალება?... მეგობარო!..

— რა სულელია?... მომესმა მათი ხმა...

არც კი იხედებოან ჩემსკენ, ისე მიდიან... აი, მათი სიცილიც მოისმის... იქნება მე დამცინიან,— თქვენ ხომ ხართ მაინც ბედნიერი, .. იცინეო, სანამ ცოცხალი ხართ. იცინეთ...

დაბლიდან მზიარული სიმღერა მოისმის. მე ისევ ვწვევარ მინდორზე ხის ძირას... არა, არ მინდა დაწოლა. განა არ მეყო საწოლში ტრიალი?! რისთვის უნდა ვიყვე გამონაკლისი ამდენ ხალხში! განა მე არ უნდა მიხაროდეს გაზაფხულის მოსვლა?! რათ ვერ დავსტკბე მე მისი მშვენიერებით?!..

აუღეპი, მივეყრდნე ხეს...

— ეეეი .. სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე!.. ვიყვირე მე.. თითქოს ტყე შეინძრაო...

— ... იცოცხლე!.. ყრუთ გამომძახა ტყემ გაღმიდან...

ოჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო ტურფავ, ჩემო მშვენიერო ტყევი!.. მაშ ვიცოცხლებ... მაშ არ მოვეკვდები, გენაცვალე, და კვლავ განახავ შენ?!... ოჰ!.. რა კარგია, რა კარგია, რა კარგია სიცოცხლე, რომ იცოდე!.. მაგრამ ეს რაა... თავბრუ მტყვევა...

აღბათ თუ ძლიერმა ყვირილმა დამასუს-
ტა... კიდევ ხველება... სისხლი... ოჰ!...
ვეცემი... აი აგერ ვილაც კაცი მორბის ჩემს
საშველად. მე აღგომა აღარ შემიძლია, მინ-
დორზე ვგორავ.

— რა დაგმართნია, მეგობარო?.. მეს-
მის უცნობის ხმა.

— სიცოცხლე, სიცოცხლე მწყურია...
გესმის!.. ვბუტბუტებ მე...

— სიცოცხლე!...

— „იზოგოზიკა!... იძახის უცნობი კაცი,
აღბათ შეეტლეს ეძახის...

მე აღარ მახსოვს, როგორ მომიყვანეს
სახლში იმ მშვენიერ გაზაფხულის საღამოს,
როდესაც მიმავალ ცხოვრებას ვეძახოდი...

მას შემდეგ სულ ვწყევარ... ეხლაც ვე-
ძახი მას, ეხლაც, მაგრამ არავინ ეხმაურება
ჩემს ძახილს. არსაიდან ისმის საპასუხო გამო-
ძახილი — იცოცხლეო!...

ჩემი თვალით ვხედავ, თუ როგორ დნე-
ბა, იფერფლება სიცოცხლე ჩემი, ვით სან-
თელი ცეცხლის აღზე, თუ როგორ
მშორდება და ქრება იგი, მაგრამ რა ვქნა,
არ ითმენს ეს შეუპოვარი გული და კიდევ
ვიძახი:

— სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე!..

მონისჭიჭი



3. ლ. ბურცაძე

გამოჩენილი პუბლიცი-
სტი, ცხოვრობდა საზ-
ღვარ გარედ და ლა სხვა და სხვა
მთელს ქვეყანაზე სახე-
ლი გაითქვა პოლიტი-
კურ პროვოკაციათა,
განსაკუთრებით აზერ-
ბაიჯანის, გამოაშარა-
ვებით. ომი რომ

დაიწყო, მამული-
შვილური გრძნო-
ბით აღტყინებუ-
ლი, სამშობლოსკენ
— რუსეთისკენ გა-
მოემშურა, მიუხე-
დავად იმისა, რომ
მეგობრები აფრ-
თხილებდნენ. საზ-
ღვარზე მოვიდა თუ
არა, დაიჭირეს, გა-
ასამართლეს და
ციმბირს გაგზავნეს.
სადაც თითქმის ერთ
წელიწადს იწოწია-
ციხე-დღილეში და
მხოლოდ ახლა-ხან
დაბრუნდა სამშო-
ბლოში, უმადლე-
სად ნაპატივები.

(„მზ“)

მეც შეუერთდი ლამაზებს

(ვაჟა-ფშაველას ხსოვნას)

მთას ავეყვე, ვიწრო ბილიკით
მწვერვალს მოვექვეც თავხედად:
მსურდა ბუნების წიაღში
მემღერა უცხო ხმახედად.

თვალი მოვავლე მიდამოს,
მოქარგულს ათას ფერადად:
ცრემლი შეენიშნე ყვავილებს,
თვალეებს მომსკდარი ჩქერად.

გავკვირდი. ეკითხე: ვის გლოვობო
და რათ ხართ კაენიანი,
როცა თავს მაყრიო აღმასებს
და დღეც გინათებო მზიანი?!

მომიგეს: „მოკვდა არწივი,
შვილი ფშავეთის მთებისა,
მის ქირ-ვარაშხე მღერალი,
მთქმელი „ქებათა ქებისა“
ნაზი ბუნების მიჯნური,

აღსავსე მისი ტრფობითა,
ვით შვილს რომ გვიაღერებდა,
გვამეტყველებდა გრძნობითა!..

დავლონდი. მივხვდი ვინც იყო —
მშობელი ერის დიდება:
მეც შეუერთდი ლამაზებს
და ცრემლი ერთად გვდინდება!...

ჩახრუხაძე

თ ხ რ ი ლ ე ბ შ ი

(ბძძალას ვეფხვამ)

თხრილებში სულ გაკმენდილი ისხდნენ
ჯარის-კაცები.

წამის-წამ ისმოდა საშინელი გრგვინვა
ზარბაზან-ყუმბარებისა.

აქა-იქ ცვივოდა თუჯის ბორჯღლები და
ანადგურებდა რასაც კი მოხვდებოდა.

— ბიჭო, ბიჭო ტიტკო!.. გაისმა ჩუქალ
თხრილებში.

— რა იყო, ბიჭო ლევან!..

— იცი ბიჭო, ცოტა არ იყოს შევშინ-
დი ამ ოხერ ყუმბარების გრილისაგან... და
არ ვიცი, ღმერთმანი...
— რას მიჭქარავს ე ოტროველა... გაა-

წყვეტინა ტიტკომ: არა გრცხვენინა?! ხედავ ჩვენ ბიჭებს როგორ ლომივით იბრძვიან, შენ რა დაგეშართა?

— არაფერი, არაფერი! მანამ შენ დაგეშართა, ცოტა წამთვლიო.

სიზმარი ვნახე, ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი!..

ვნახე, ვითომც შენ ვიყავი, ჩემ დანიშნულს პელას გვერდზე ვუჯექი და ვგზუმრებოდი, ვითომც ისიც თან იცინოდა და თან თეთრ ყვავილებს მაყრიდა; ვითომ მეც აქ ჯიღობა მიმეღოს, უნდრაფიცრის ტანისამოსში ვიყავი გამოქიმული.

ეჰ, პელავ, პელავ!.. მძიმედ ამოიოხრა ლევენამ.

არ ვარგა, ტიტკო, ეს სიზმარი, კარგს არას მოასწავებს..

— კარგია მოსწყედი თავი დამ, ნუ მოპყევი რაკარუს ჩვენებური მკითხავივით. შენიშნა ტიტკომ: რაც მოგვივა მოგვივიდეს, წერას ვერსად გავექტყევიო..

— ეე... მაინც... ბიჭო... ტიტკო, ვაუბედავად ხვეწნის კილოთი მიმართა ტიტკოს ლევანმა: თუ ვინიკოაა რა ვაცი კაცი ვართ, და მომკლეს, ჩემ ჯიბედამ ამოშართვი წერილი და ერთი თუმანი ჩემ პელას გადაეცი, შენ ნათლიდედას.

— კარგი, კარგი, მიწექ შენ, პატა ძვილი მოვატყუოთ, ის ყველას ემჯობინება!..

* * *

კვლავ სულ-განაბლდა მიწვენს თხრილებში. ის იყო ტიტკოს და ლევანის ივანელების ქუთუთოებზე ერთმანეთს მოპკიდეს პარი, ის იყო ორჯელ ტკბილად ამოიხვრინეს, რომ მოესმათ კიდევ განჯაში.

ელდასავი წამოცვიდნენ თხრილები დამ, მოიშართეს თოფები და გასწიეს ბქანებისამებრ...

საშინელი ქეჩა-ქუხილი ყუმბარებისა, წვიმა სეტყვისავით ნაფრქვევი ტყვია თავზარს სცემდა ჩვენს მეომრებს.

წაიქცა ლევანი.

მივარდა ტიტკო, ორჯელ-სამჯერ შენაჯღრია, ჩასძახა: ლევან, ლევან!

მკვლარი იყო.

უცხად მოაგონდა საცოდავის ანდერძი და ჩაუყო ჯიბეში ხელი.

დახე მუხთალ ტყვიას! შიგ შუბლში მოხვდა ტიტკოსაც და ცივად, გაუნძრევლად განაბა სული, მხოლოდ ხელი ტიტკოს დარჩა ლევანის ჯიბეში.

* * *

გათენდა დილა.

წითელ ჯვაროსნები თეთრ ბაირადები გაჩანენ ბრძოლის ველზე დაქრილ-დახოცილთ ასაკრეფავად. ვაისმა შეიპყრის და ზიზლით დახილი უფრო ისა.

— ეი, ბიჭებო, მოდი თაქ!.. ხედავთ, აი ამ მოკლულს. მიუთითა ტიტკოზე; გაიტათ, გაათრიეთ, შორს იქითაქენ სდმე. ყველამ თითო მი ფურთხეთ და ყვავ-ყორანს გადაუგდეთ. ავაზაკი ყოფილა, ქურდი და მოკლულ მეომრის გამძარცვაეი, მაგას არ ეკუთვნის პატიოსან მეომრთ შორის დამარხვა „სამშო სამარეში“, მხოლოდ ეს კი — მიუთითა ლევანზე: წესიერად დამარხეთ

ბრძანება ფ რკხლავ შესრულდა.

იგ ესტ. მჭ — შვილი

შოთა რუსთაველი

და

კონსტანტინე ბალმონტი

მრავლად თავმოყრილი საზოგადოების შორის ერთა უსინათლო, ორავე თვალით ბრმა სუბუკავ შეგნიშნე: დარბაზის კუთხეში მიმდგარა, სქენა-გამსწილებული, შინაგანის აღტყვევით აღვზნებული, ტურფას სულისკენ მიიწვევდა გასწორგასწორა; ამოშრეტილი თვალის ბუდეებით, რასაკირველია, ტურფას ვერ ამჩნევდა, სოლო კედელს მიტკეჭული გაოცებული ასული ერთად: ეს ბრმა ძალა თითონ თუ ვერ შენიშნავს და მოკრძალებით არ მომეუწრება, თავი მაინც როგორ დავასწოლა!..

ეს იყო „რტ. საზ ისა“ თეატრის დარბაზში, მ დინობისთვის, კ ბალმონტის მიერ გამართულ შოთა რუსთაველის საღამოზე.

ამ სურათში უჩებლიეთ გამითვალისწინა ჩვენი მწერლობა-კულტურის ყვავილობა და სინის

გვირგვინი შოთა და რუსეთის მოზრთველ საზოგადოებას.

ნაწილი მისი თითქმის იდუმალი შიშველია ჩვენის წარსულის შეტევისაკენ, მაგრამ საგანს ტრფიანდისას-კი ვერ ჰხედავდა; ჰგონებდა, რომ თავისუფლად შენებდა ქვეყნის—საქართველოს წარსულში იეგნენ დიდებულნი კაცნი, მათ შორის შოთა რუსთაველი, საშუალო საუკუნეთა ევროპაში სიუვარულის პირველი ჯვაროსანი, ახლო კი არაგვის ენციკლოპედიის მის სულიერ ავლა-დიდებას, ანგარიშს არაგვის უწვევდა: სიტყვით საქართველოს რუსეთის გვირგვინის ძვირფას თვალად აღიარებდენ, საქმიანი კი მის წარსულს აფურცლებდენ, აწმუთს ეგნებდნენ სთელავდენ...

ხოლო რადესაც ინგლისის სახელგანთქმულმა ქალმა, ნეტარ სსენიკოვამ მისს მარჯვრო უორდრობაში ჩვენი დიდების შოთას შემოქმედება—„ეგვივის ტუალსანი“ ინგლისურად გადათარგმნა რუსეთის სახელთვანმა შეიღმედ მასინ გაინცნა, ისინი შემთხვევით, თკანეზე მდგომარობის დროს... იცნა და შეიყვარა, ვითარცა მზე—სიცოცხლის მწვეურება ბუნებაში... მგოსანმა იცნა მგოსანი და გადასწვებდა გადასთარგმნოს მისი შემოქმედება თანამემამულეთა თვალთა ასახილავდა: აქა, იხლოთ საქართველოს მნათობი, დიდება, მეთა მტე საუკუნისა, რომელმაც სიუვარულის უდიდებულესი ძეგლი შექმნა მასინ, რადესაც ევროპაში ამაზე ჯერ არაგვის ამტეულებულიყო...

რუსეთის ეს სახელთვანი შეიღმა მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი, გრძობა-ნაზი, ენა-მარკალიტი, გონება-მასკილი, მართალია, ჩრდილელი, მაგრამ სამსრეთის შავით გამოთარი...

თავის მსატერულ სიტყვაში მგოსანმა მკაფიოდ კანკავია დიადობა შოთასი, ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებათა მიხეზება; აღნიშნა ასინ, რაც უნდა კარგი თარგმანი იყოს, დედანს ვერ შეტარებდა, მათ უმეტეს შოთას ნაწარმოების თარგმნა ძნელია, მაგრამ—მე მიუყარს ძნელის მიახლოება და მისი ძველია...

შესავალი სიტყვის შემდეგ წაიკითხა ეგვივის ტუალსანი“ს რადენიმე თავი და ზოგიერთი ნაწვევტი.

თარგმანი დედნის მკეირობას ვერ სწევს. დედანში თუ ახრთა სიდრმეს, შედარებათა სიდა-

მაზეს, ყოველ მწკარში რადც იდუმალ დიადობას ჰხედავთ და ჰგონებთ, თარგმანში ისმენთ მშვენიერ ლექსთწობილობას, საუცხოვოთ გაღექსილ ამბავს... თითქმის შოთას სიგრძე-განი რუსულს ენას ვერ დაუფლოს... შოთას თარგმნის მესამე პიროთ არ შეიძლება, არც ის კმარა მხლოდ სიტყვები გადაიდო პირდაპირ,—აქ ენის სულის, განსაკუთრებით შოთას სტილის შეთვისებადა სწკირთ. პატეცემულს მგოსანს ბალმონტი-კი, როგორც სწანს, თარგმნის თარგმნით უსარგებლბა.

მაუსედავად ამისა, ჩვენს სამაყოლ და პატეცემულ მგოსანის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ თარგმანი შიგა და შიგ—საუცხოვოთ, კასოცარი მისდენილობით გადალებულია: რაც შეეება შოთას ბრძნულ სიტყვებს—დამსკვირდებს, ზოგა სიტყვა სიტყვითაც კი არის გადალებული, მაგრამ მაინც რადც წვაწვადაა,—ის სიდიერ და სხარტად გამოთქმა, შოთას რომ სწვევია, თარგმანში ვერ შევნიშნეთ (სწენის დროს). შოთას ბრძნული სიტყვები მკელი რვა საუკუნე ქართველი ხალხის სამუდამდლო ანდასებად გადაიქცა, უცხოობელ სწმინდობათა გამომხატვლად და სასწერულია მათი ხაზგასმით გადალება...

რადენიდაც პირველი მოსმენით შეიძლება დავსკვნათ, თარგმანის ენა მდიდარია, პოეტურ ჟერ დოვანი, ლექსთწობა შრავალ რითმავანი. დანმდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შოთას ასეთი ენა მზიანი, შეკნებული მთარგმნელი არაგვის გამოსჩენია.

მისი თარგმანი რუსეთის საზოგადოებას გაინცნობს, პატარა საქართველო დამოუკიდებლობის ხანაში რა ბუმბერაზ შეიღებს ზრდიდა... გაინცნობს და აგულისხმებს, რომ უფრო დრმად ჩაუკვიდენ დღეს.

ხოლო რადესმე სწმინდის დარად ყოფილ საქართველოს შეიღებს. კ. ბალმონტი დავწლი კიდევ იმითა დიკს-საუურადდებო, რომ თარგმნა-გადავარების გზაზე შემდგარი ქართველობა ახლა მაინც გაიკებს, რა განბი გვეჩინა, რა ზნობის, გონების თუ სიყვარულის სახარება, და მშობლიურ ლიტერატურას უფრო თავგამოდებით დაუწავება.

მადლიერი ქართველი საზოგადოება დიდის ზემით შეეება რუს მგოსანს: მართვა შოთას

რუსთაველის დიდი სურათი, დაფინის ჩარხში. ვარდებით შორთული და ქართულ მწიგნობარ-მოდ ვაწეთა წაწერებით შემკული. სიღამის დასას რულ დასწრეთ ბაღმონტი გამობმეს და სთხოვეს საკუთარი ლექსი წაკითხა, მაგრამ ბაღმონტ-მა მიუგო — „რუსთაველის შემდეგ ადარაფერი წაკითხება“. ამ დროს ვიღაც ადიტინებულმა წამოიძახა ბაღმონტი რუსთაველზე მადლათ, „მაზე ბაღმონტს სახეზე დრუბულმა გადაჭკრა, თა-ვი გააქნია და მიუგო — „არა! ეს მართა-ჯი არ არის!“. საზოგადოებამ შინც თრი ლექსი წაკითხა (ერთი მათგანი, „საქართველო“, ჩვენს უკრძალში იყო დაბეჭდილი).

უკუვლადგისი სწლამი ძვირფას, ენა-ფარდოსან პეტასანს: საქართველოს ქენი მუდამ მადლობით მოიხსენებენ მის სახელს

უსურვებთ მალე დაეკვირვებინათ თაფისი ძვირფასი თარგმანი და გამოეჭევენებინას კადრს, რომ კრძნობა უსინათლოებსაც შეეფინოს სიყვარულისა და შშენიერების უშრეტო შუქი.

იოსებ არიმათიელი



ნ. გოცირიძე — მძიმე გარუხნვისის როლში (ტ. რა-ვიშვილის „მეზობლებში“, დღეს სახალხო სახლში)

(უძღვნი თაში წასულს ძემებს)

ღამე არის, ცის სივრცეში ბადრი მთვარე ლაღად სტურავს და ტანჯვის ზღვა დედა-მიწას გლოვის ლეჩქა თაფს ახურავს! არ-რა იძვრის, მხოლოდ სიო დანავარდობს მთათ და ბარად, და ახლად შლილ ვარდის ყლორტებს აქანავებს ჩუმად, წყნარად!.. სიჩუმეა, სძინავს სოფელს, ქირში მყრფ' და ოფლში მტურავს, სძინავს სოფელს, ცრემლის მომგერელს, და მ.ს ქოხებს ძაძი ჰბურავს. დუმლია... და ავ დუმლის მხოლოდ არღვევს კენესა მწარე, კენესა სევდის ქართ აწმლედი, ოხვრით სავსე და მწუხარე!..ეს დედაა, ღვიძლ შვილს სტირის, შავ ცხოვრებით წამებული, შვლს მის ნადაგს, ბრძოლის ველზე გაუგმირეს ტყვიით გული!

ოჰ, იტირე, საცოდავო, ვინ შევიშრობს ცრემლებს მწველსა, ვინ გაგიქრობს სევდა-ვარამს, მტანჯველ წუთებს, გულის მკვლეღსა: როს არ ისმის იმედის ხმა, ხმა მქუხარე მძღეთ-მძღეველი, როს უმანკო სისხლით ირწყვის მთა და ბარი, ტყე და ველი!... როს ჩ. გრულთა ცის კაბადონს ნისლი ჰბურავს შავი, ბნელი, და განცხრომის, გამარჯვების დავლურს უვლის ბელზებელი!..

ხ. ვარდოშვილი



სლომონ ლაონია

ვრჯელ მეთის მსახური და საქართველოს დესპანი, გარდაცვ. 100 წ. შესრ, გამო (ზ. ჯ. ძელი ნახატ.)

ბელნიერი დღე

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 30—40)

გიორ. დღეა

კოტე. { საშინლად კანკალებენ. შეუმჩნევ-
აპოლ { ლად დაშინებებს სეკუნდანტებს
მიუშეგრენ დაქლიან მესამე ნიშანს)

გიორ. (მიგარდებს) ეი! რაინდებო! ეს დამბაჩები იქით წაიღეთ, ერთმანეთის მაგიერ ჩვენ არ ამოგვბოცოთ. რათ დავიხუქიათ თვალები? გაახილეთ! აი ასე დაუმიზნეთ ერთმანეთს. (გაუსწორებს ერთსაგ და მეორესაგ დაშინებს) მოგმზადეთ! „ღვა“.

კოტე. (კანკალით, სხაზა-სხუპით) „გასწი მერანო... გასწი მერანო... მიფრინავს, მერანი მერანი! მერანი!“

აპოლ. (კოტესთან ერთად) „იყო როსტევიან... შავი ტაიქი! თავი სვეტსა შეუტაკა, როსტევიან, აეთანდილა, (ძდიერ ჩქარა) ტარიელი ტარიელი ტარიელი!“

გიორ. (ხმა მადლა უვირის) „ტრი“ (აბაღონ და კოტე გაისვრიან დაშინებებს, ხელიდან გაუვარდებით და პირველ დაქცევიან. სეკუნდანტე-

ბი ძალზე იფინიან, ცოტა ხანს სიჩუშეა)

აპოლ. (ცოტა ხანს შემდეგ ნელა გაახედს თვალს, მარჯვენა ხელს გაანძრევს და ტბილად გაიღიმებს, თავს წამოსწევს, ხელს ისევამს ტანსე და გახარებული ჩუმი ხმით ამბობს) ცოცხალი ვარ?!. არ მომკვდარვარ?.. ღმერთო დიდებულო! (თითს გაიშეგრს კოტესკენ და შიშით ამბობს) მაშ ის მოკვდა, ის! (ისევე დასდებს თავს და თვალებს დახუჭავს)

კოტე. (ნელა გაახედს თვალს. შუბლზე ხელს გადაისვამს. გაიღიმებს. არ სჯერა, თუ ეს სინამდვილეა. თავს წამოსწევს და თავის სხეულს თვალს ჩააფლავს და ნელი ხმით ამბობს) ოხ, ღმერთო! ცოცხალი ვარ?! ოჰ, რა კარგია? მოწვენით თითს გაიშეგრს აბაღონისკენ) მაშ ის მოკვდა! საბრალო, რათ შემომაკლა თავი?! (დასდებს ისევე თავს და თვალს დახუჭავს, სეკუნდანტები ეურს უტყდებიან და სიცილით ახორციებიან)

აპოლ. (ცოტა ხნის სიჩუშის შემდეგ ნელა წამოსწევს თავს, ააწვება და შიშით გადახედავს კოტეს) მოკვდა! შიგ შუბლში მოვარტყი ტყვია! (უუარებს)

კოტე. (ისიგ ნელა წამოიწვება,) მოკვდა, საბრალო აპოლონი! შიგ მუცელში მოვარტყი ტყვია.

ხანდრო. როგორც ეტყობა ადგომა აღარ უნდათ.

გიორ. (მივა ახლოს და ხმა მადლა) მეომარხო, აღექით, ღუელი გათავდა!

კოტე. (ნახევრად წამოიწვება, აბაღონს არ უუარებს) გიორგო! გთხოვთ ის გაატანინოთ, მე არ შემძლიან მისი ცხედრის დანახვა.

გიორ. (იფინის) ვინ ის?

კოტე. (არ უუარებს, ასე თითს გაიშეგრს აბაღონისკენ) აი ის განსვენებული აპოლონი. საშინელდება მისი დანახვა! პირდაპირ მუცელში მოვარტყი, ნაწლევები სულ გადმოუცივდა. გთხოვ, გემუდარები გაიტანეთ, არ შემძლია დანახვა. ისე ვერ ავღვები. (დასდებს ისევე თავს და თვალს დახუჭავს)

გიორ. (სიცილით) აპოლონი ცოცხალია, თვითონ ადგება.

კოტე. (გაოცებული წამოხტავს თავს და გადახედავს აბაღონს) მაშ ცოცხალია? (ნელ-

ნელა წამოდგება) მაშ რათ გდია ეგრე, სწორედ სასწაულია. მე ჩემის თვლით დავინახე, რომ ტყვია მუცელში მოხვდა. (გაოცებული უყურებს)

გიორ. ეხლავე დარწმუნდები, რომ ცოცხალია. (მივა აზოდანთან) აპოლონ ადექით!

აპოლ. (თვალებს გასხელს) გთხოვთ, გიორგი, ნუ დამანახებთ შუბლი სულ დამტყრეული აქვს, მე ვერ ავიტან მის დანახვას.

გიორ. (სიცილით) ვისზე ლაპარაკობ?

აპოლ. (არ იხედება, ისე თითს გაიშვრებს კოტეხსკენ) აი ის, საბრალო კოტეხ პირდაპირ შუბლში მივარტყი. ჩემის თვლით დავინახე, როგორ ლაწა-ლაწუწი მოადინა შუბლის ძვალმა და ტვინმა ნიაღვარივით გადმოხეთქა, გთხოვთ გაიტანოთ, სათუთი გული მაქვს, არ შემძლია დანახვა. (დასდებს ისევ თავს და თვალებს დასუფავს)

გიორ. (სიცილით) ადექით! ადექით! კოტეხ ცოცხალია! აბა გამოიხედეთ!

აპოლ. ცოცხალი?! (ასწიფს თავს და შიშით გაიხედავს კოტეხსკენ. დაინახავს, რომ კოტეხ ფეხზე დგას და გაოცებული პირს დააბნელებს, სწრაფად წამოდგება და შესუბრალებს) ცოცხალია?! მაშ ეს სიზმარი იყო? ჩემის თვლით დავინახე, რომ ტყვია შუბლში მოხვდა. (ორნივე უყურებენ ერთმანეთს, ტკბილად გაიღიმებენ)

გიორ. ყმაწვილებო! მაშ მოდით მივულოცოთ. (ყველანი მივლენ და ულოცავენ)

სანდრო. (კოტეხს და აზოდანს) ყმაწვილებო! გილოცავთ ბედნიერ დღეს. დღევანდელი დღე დიხაც, რომ ბედნიერი დღეა როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის და მთელი საქართველოსთვის, ბედნიერი დღევანდელი დღე, რომ ორი დიდებული ვარსკვლავი შერჩა სამშობლოს ცას და წყვილიაძმა არ მოიცვა არემარე. ორგვართ მოსალოცი ხართ: ერთი რომ თქვენ გმირულად შეასრულეთ თქვენნი ვალი და თქვენის შეუპოვარი ბრძოლით თვალწინ დაგიყენეთ ძველი ქართველი მეომარი და მეორე, რომ ცოცხლები გადარჩით სამშობლოისა და მთელი ქვეყნის საკეთილ-დღეოდ. გილოცავთ ამ დიდე-

ბულ და ბედნიერ დღეს. (მივა და ორივეს ჩაქვინის) ეხლა რაღი თქვენზეა. (აზოდან და კოტეხს გადაესვრება ერთმანეთს და ქვინიან) **აპოლ.** (შუბლს უსინჯავს) ორთვერი მოგხვედრიათ.

კოტე. არა (მუცელზე ხელს გადაუსვამს) თქვენა?

აპოლ. არა.

გიორ. (სიცილით) რა უნდა მოგხვედროდათ, ყმაწვილებო, როდესაც თქვენგან გასროლილი ტყვიები კავკასიონის მთებისკენ გაემგზავრნენ. (ყველანი იცინიან).

IV

იგინივე და სალომე (შემოიჭრება)

სალ. (გაიფივით ვეინის) სალ არის ჩემი შვილი, სალ? ცოცხალი? დაინახავს აზოდანს მივარდება, გადაესვრება და დიდხანს ქვინის. შემდეგ სხვებს ეხვევა და იშთაც ქვინის. სიხარულით აღარ იცის რა ქნას შვილო აპოლონ, ცოცხალი ხარ, გენაცვალოს დედა. (მაბნუნ-მაბნუნებს) ღმერთო! რა ბედნიერი დღე გამოიქნა, შვილი ცოცხალი მყავს.

აპოლ. (ღმილით) კარგი, რა ამბავია?

სალ. (ეხვევა) როგორ თუ რა ამბავია? მეორედ დაბდე დღეს. დღევანდელი დღე ბედნიერი დღეა. (მივლენ ყველანი სათათად და ულოცავენ სალომეს ბედნიერ დღეს. სანდრო მიუტანს სერთუქს კოტეხს და ჩაქვინებს აზოდანს. ყველანი ერთად შეკრულებიან) აბა, ყმაწვილებო, ხომ იცით რა გეპართებს დღეს? მე უკვე ამოვარჩე მწვანე ორაკი ტყეში. თამადად უთუოდ ქალბატონი სალომე უნდა ავირჩიოთ.

ყველანი (იცინიან) სალომე! სალომე!

სალ. (შემოაზრდად და ტაშს შემოჭრავს) თანხმა ვარ, თანხმა!

გიორ. (გაიფივის ტოტას და ეძახის) ბესო ერეკლე! მოდით! (შემოვა ორი ბაჭი, ერთს სანოვანე მოაქვს და მეორეს დიდი ტიკიბ ღვინო მოუდღვას ზურგზე. გაჩქარდებიან) აი, ბატონებო, რა კარგია წინ დახედულობა. მე გულმა მიგრძნო, რომ ასე კეთილად დაგვირგვინდებოდა დღევანდელი ომი და უკვე ყველაფერი მოვაშხადე. აბა გავსწიოთ. (შემოსძახებენ: „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და ნელ-ნელა ყველანი ერთად მიდიან. უკან ბიჭები მიჭეკებიან)

ფ ა რ დ ა

(დასასრული)

პ. ირეთელი

კიდევ თვატრის შენობის აგების შესახებ

ჩემი წერილი: „დავაჩქარეთ თვატრის შენობის აგება“ (თ და ც, № 32) გადაბეჭდა მხოლოდ „საქართველოში“ და „განთავადში“, სხვა გაზეთებში კი არ ისურვეს გადაბეჭდვა, თუმცა მე მივმართე თხოვნით ყველა გაზეთს, გადაბეჭდათ.

ეს უნდა იყოს და სამწუხარო ამბავი, რა თქმა უნდა, საქმარისად ახსიათებს ზოგიერთ ჩვენი გაზეთის დეკანდელს მმართველებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნათ, რომ მწერლობის და ჟურნალისტობის უთიკა მათხრის ამგვარ წერილების გადაბეჭდვას და დაფარწმუნებთ ჩვენს რედაქტორებს, რომ სხვაგან და სხვა ერის შორის ამგვარი მოფლენა ძნელი წარმოსადგენია.

მე ვინადაც ამ სამწუხარო მოფლენას უურადავებს არ მივაქცევდი, რომ ამასთან არ იყოთ შეკავშირებული, ერთის მხრივ, გულგრილობა თვატრის შენობისათვის ფულის შესატრევადად ამორჩეული კომიტეტისა და მასთან ერთად სასოკალეების გამკობისად, ხოლო მეორის მხრივ შემდგარი აზრი, ვითომ დეკანდელს, ჩვენთვის გაჭირბულს და სამკლავიარო დღეს, თვატრის შენობისთვის ფულის შეკრება მთხერსებული და დასაძახისი იყო. ჩვენ ვერ დავთანხმებთ ამ აზრს და, აი, რატომ.

ჩვენი ერი, მეტადვე ჩვენი სოფლობა, დღესაც, გუშინაც და ხვალაც ისეთ გაჭირვებაში იყო, არის და იქნება, რომ არსოდეს არ უთფნის მას თავისი შემოსავალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი ერი ვერ კიდევ შემოსავლიდან ფულის გადაწმენას და მომავალითვის შენახვას ვერცკი ითქმობს.

თუ აქა-იქ მომთავება რამდენიმე ზირი, ვისაც ყველა საჭირო ხარჯის გაძღვლის შემდეგ კროშები გადაწმენა, ესენი უთუოდ სოფლაკრების და კაჭრობის გზას ადგინ და არა ხენა თესვას. შესაძლებელია მომავალში და ახლაც მომავალშიც, ფერე იცვალას ჩვენმა მუერწეობამ, ხოლო დღეს-კი მისი მდგომარეობა არა სანატრელია. მის დავვარად ჩვენს მუერწეს შემოსავალი თვის შესახასადაც არ უთფნის და სუედაკლთვის იმი-საგან ერთი ორი კროშის გამორთმევა კი ვინ-

იდან ლუკმის გამოკლევა იქნება. ამისდა მიხედვით ჩვენ თავის დღეში ახლო მომავალში მინც, ვერ ვპოვებთ იმ გვარ დროს, რომ ჩვენს სოფლებში ფულის მოკრევა მისაწინი საქმე იყო. ჩვენში შეუწინისაგან ფულის გამორთმევა უდრის გაჭირბულისაგან ფულის გამორთმევას.

გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც, მეტრევის, დღეს გაჭირვება-კი არა, სიმშვილია.

ამაშიაღ ვერ დავთანხმებთ. მართალია სხნახე-სათეს-ვენახები გაფუჭდა, წუადილობა და წვიმებმა წაღება, თში მიშა-ხაღბი

წაფვანეს, მაცრამ მინცა და მინც ჩვენს მუერწეს დღეს ხელში ფუდი უფრო მეტი აქვს, ვიდრე სხვა დროს; აი რატომ: თქანში მჭამელი ზირი დაცოტრება, ხოლო ვინც ოში წვიდა, იმის ცოლ-შვილს მოაწრობა ფუდით ხელს უწყობს. ყველგან შრომის ფასმა ერთი-ორად და სამად აიწია, ასე რომ, ვისაც სხელში სამუერწეო საქმე არა აქვს, მუშაობით კიბადი ფულის ადებს შეუძლიან.

სოფლებში დვინის სმა აიკრძალა და იქ, სანც გლეხს თითქმის მთელი თავისი შემოსავალი სოფლის დუქანში მიქქინდა და დვინოში ფლანცავდა, ახლა ჯობეში რჩება.

ყველა ეს იმისთვის-კი არ ჩამოთვალე, ვითომ უნაერ აზრს ვამტკიცებდე, დეკანდელი დღე სოფლისათვის გასახარბული და სანატრელი იყო. ვიმუერბე, დეკანდელი დღე გაჭირბული და სამკლავიარობა ჩვენი სოფლისათვის. მინც დღეს ჩვენი სოფლები, რასაკვირველია ყველგან-კი არა, საქართველოს მეტ ნაწილში, უფრო ადვილად ამოიღებს ჯობიდან რამდენიმე შურს და მოკრემთ, ვიდრე სხვა დროს.

აი, მისაზრება, რომელიც არღუეკს იმ „დრმა და ბრძნულ“ რწმენას, ვითომ დღეს ფულის შეკრება თვატრის შენობისათვის, შეუძლებელი და მოუხერსებელია.

მაცრამ, რად გვინდა ყველა ეს? დმათხნებით, რომ ნება-როვის ადბა, „აკურების“ (რატორც „თ. და ც.“ № 32 შეთაურში იყო გამოთქმული) და მარკობის დაბეჭვდა სოფლის კომიტეტების დაარსება სრულებითაც

არ ნიშნავს იმას, რომ უთუოდ დღესვე მოვი-
დეთ ხელი სოფლებში ფულების კრეფას.

დღეს ჩვენშია ბევრია ისეთი ბედნიერი,
რომელსაც სისხლის ღრამი, ომიანობამ ძალიან
ხელი შეუწყო და დიდძალი ფული ჩაუგდო ხელში.
აიღეთ, თუ გინდათ, ის დიდძალი ელემენტი,
რომელმაც სამხედრო სამსახურში ასეთი უხვი
წევართ იზოგა, ისეთ ჯამაგირებს იღებს, რომ
სიზმრადაც არ მოელანდებოდა. განა ჩვენი სა-
ზოგადოების ეს ნაწილი სწორედ ახლა არ გადი-
ხდის სატყაპტრო წვლილსა?

აი, სწორედ საზოგადოების ამგვარ ელემენ-
ტებისათვის უნდა დავაჩქაროთ ფულის შეგროვებ-
ის დაწყება, თორემ ვინ იცის: ხვალ-ზგე ეს
ჯამაგირები გაუქმდეს და შემოსავლის უხვი
წყარო შემოგვაკლდეს...

ამისაკმა, გვინებთ, ძალიან შემდგომნი
აჩიან ისინი, რომელნიც, ვითომდა დროების გამო,
აკვირდებიან თეატრის შენობისათვის ფულის შე-
გროვებას. საჭიროა დაეჩქარდეთ, ესედაუ დავი-
წყოთ და გავაკეთოთ ის, რასაც შევიძლებთ.

თეატრის ასაშენებლად ისეთი თანხა სა-
ჭირო, რომ ერთ და ორ წელიწადში ვერ მო-
ვახერხებთ მის შეგროვებას... ცხადია, არამც
თუ ომიანობას, არამედ მშვიდობიანობის დროსაც
დაგვეჩინდება ფულების შეგროვება...

არ შეგვიძლიან აქვე ერთ ჩვეულებრივ ტო-
რიკანობასაც არ შევეხოთ. ჩვენში ხომ საზო-
გადოდ გაგრძელებულია, ერთმა რომ რამე სა-
ქმე დაიწყო, მეორე უნდა გამოტყვევოს და
დაიწყოს, ეს შენი აზრი-კი არა, ჩემიაო,
პირველათ მე მოვიფიქრეო და სხ...

ჩემი წერილის შემდეგაც, თურმე, ზოგიერ-
თებმა დაიწყეს: გძელიშვილმა-კი არა, ჩვენ
მოგიფიქრეთ ესაო, მე არაფერი ახალი მან-
ქანა არ მომიგონია, მხოლოდ ფულების შესა-
გროვებლად ის საშუალება აღვნიშნე, რომელიც
აღვიღებებს ამ დიდა თანხის შეგროვებას და
რომელიც დიდახანია შემოდებულა ამერიკის
შეერთებულ შტატებში. როცა შტატს დასჭირ-
დება რომელიმე საზოგადო და ძვირფასი შე-
ნობის აგება, შტატის მმართველობა გამოუშვებს
ხელმე თავისებურ იაფ ფასიანს აქციებს იმ
თანხისას, რომელიც საჭიროა, და მიჭმართავს
შტატში მცხოვრებლებს, რომ შეიძინონ აქცი-

ები და საზოგადო შენობის აქციონერად, ანუ
მისი ხარჯის მონაწილედ და შენობის პატრონ-
თაგანნი გახდნენ.

ამგვარ აქციებად გამოუშვებენ უმეტეს ნა-
წილად პატარა მარკებს, რომელსედაც აკური ან
სხვა რამე სურათია დახატული. ვისაც სურს,
რამოდენიმე აკურს იყიდის და ამ აკურების
ფასით გახდება მონაწილე შენობის ხარჯში.
ამგვარად შტატში საზოგადო შენობის პატრო-
ნად ხდება შტატის ყოველი მცხოვრებელი—ყვე-
ლანი. შტატში რომ იკითხოთ, უნივერსიტეტის
შენობა ვინ ააშენაო, გეტყვიან: შტატების მოე-
ლმა მცხოვრებლებმაო.

ჩვენც ასეთი საშუალება აღვნიშნეთ და გვჭირ-
კიდებ, რომ ამ საშუალებით აღვიღად და ჩქარა შე-
გროვდება თეატრის ასაშენებელი თანხა. ზოგიერ-
თებს ესედა ეტყობა, სურთ თავის „მოგონებად გა-
მოცხადდნენ ეს საშუალება. ამ ახირებულ სურვილს
ჩვენ დიდის სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ და ვი-
საც უნდა, იმას უძღვნით ამ საშუალების პირველად
მოგონებას ჩვენს წერილში რომ იყო აღნიშნული.
ჩვენ მივხვდით კიდეც, რომ ამ გგარი პირნი გამო-
ჩნდებოდნენ ჩვენში და პირველს წერილშივე აღ-
ვნიშნეთ, რომ ჩვენკი არა, სხვების ინიციატივას მარ-
კებით ფულის შეგროვება. ჩვენ ვწერდით: „ზოგიე-
რთმა განიძრახა მარკების გამოცემისა?“ დეე ეს ზოგი
იქოს ის, ვისაც სურს პირველობა და ინიცი-
ატივა ამ საქმეში. თუ სურთ, მარკებსედაც
დავბეჭდავთ იმათ გვარებსაც, თდონდ საქმე და-
ჩქარდეს და განხორციელდეს.

გ. გძელიშვილი

ხელოვნანთა კლუბი

(ხელ. კლუბ. სცენაზე წაკითხული 22 ნოემბ.)

დიდებული საქმე გახლავთ:
ხელოვნებმა გახსნეს კლუბი,
დღეის შემდგომ მის გავლენით
მოისპობა თრობა-ჩხუბი.

გავხწორდებით მუშა ხალხი,
მით გონებით გავნათლდებით,
ძველსა წესებს გზას აუქცევთ
და ცხოვრებით განვახლდებით.

მაშინ, როცა შრომის შეილი
თავისუფლად კლუბში შავა,

იმედია, გაუპროვოდეს,
 კლუბის საქმეც წინ-წინ წავა.
 თუ რომ ყველას უფლება აქვს
 შიგ იარს თანასწორად,
 და თუ იგი არ გაიყო
 ორ გვარად, ორ კატეგორიად...
 ხელოსანი ორ გვარია:
 მშრომელი, თვით ოფლის მღვრელი,
 და მეორე განცხრომი-ძე, —
 თავზე მდგომი, მბრძანებელი.
 პირველს ჰქვია ხელოსანი,
 მომუშავე, სხვის ქარგალი,
 მეორეს კი ხაზინი,
 ვისც ამიღლებს ფულის ძალი.
 და ეს კლუბიც ხელოსანთა
 სახელით არს მანათლური,
 როგორც ვხედავ ქარგალს შესვლის
 არ ჰქონია ნება სრული.
 მეტადრე თუ ღარიბია,
 ტანთ-საცმელით დაბალ ფასის,
 თუ გინდ ჰქონდეს თავში ტვინი,
 შიგ მყოფელთა ათჯერ ასის, —
 არ უშვებენ ამისთანებს:
 — „უნდა გეცოს სუფთადაო“.

გინდ იქურდო, გინდ გაცარცვე,
 გინდ იშოვნე მუქთადაო...
 ერთს უბრძანა ხარაზოვმა:
 „ზინჯაქზე გაქვს აგერ ლაქა,
 და ყელიან ჩემქმე'იანს
 ვერ შეგიშვებთ, ვერა, აქა!
 ტანთ ჩიცივი ვეროპულად,
 გინდა იყავ ავაზაკი,
 მაშინ ყველა პატავს ზოგცემს,
 სუფთად გეცოს ტანზე რაკო...
 აქ ზატონმა არსენამაც
 გულ დასმითა დაამტკიცა:
 „ეგრეთაო, როგორც ბრძანებს! —
 თავის წვერი დ იფიცა...
 რა'დენი ხნის სანატრელი,
 როგორც იყო, აგვისრულდა:
 ვ-ნც კი მისთვის სისხლი ღვარა,
 ის კი შესვლას დანატრულდა...
 დიდებული საქმე არის,
 ხელოსნებმა გახსნეს კლუბი,
 მაგრამ დღეს-კი შესაეალში
 ყოველ წამში ხდება ჩხუბი!...
 ა. განჯის-კარელი

ღ ი ქ ც ი ა

გ ა მ ო თ ქ მ ა

გაღვიდეთ ასოებისა და სიტყვების სამე-
 რეში.

ძალიან ბევრსა ჰქონია, კარგი გამოთქმა,
 კ. ი. ტკბილი, მკაფიო, ნათელი და გარკვევითი
 ლაზარაჟი აღმანის დაბადებითვე აქვს დაუღლი-
 დი და აქ სწავლას, ხელოვნებას არაფითარი
 ანუ ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვს.

ეს აზრი ერთის მხრივ მართალია, ზოგს,
 მართლაც, ტკბილი, მკაფიო გამოთქმა დაბე-
 ბიდანვე აქვს დაუღლილი ისე, როგორც ზოგს
 ტკბილი სასიამოვნო ხმა. მაგრამ ეს იმას არ
 ჰნიშნავს, რომ ტკბილი და მოხდენილი ლაზარაჟის
 სწავლა არ შეიძლებოდა. რასაკვირველია, იმის-
 თვის, ვისაც ბუნება ხელს უწყობდა და მატა-
 რლობიდანვე მკაფიო ლაზარაჟს იყო დახვეული,

იმისთვის-მეთქი გამოთქმას გაუმჯობესობა უფ-
 რთად ვიღებ, ვიდრე იმისათვის, ვინც ამ უფ-
 რადღებებს მოკლებული იყო, ეს ცხადია; მაშ-
 სადამე, საქმე უხლოდ შრომა.

კარგ გამოთქმას მსახიობისათვის უფრო
 მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ვისთვის-
 მე; თუ გამოთქმა არ უყარვს, საზოგადოებასაც
 ვერ გაიტაცებს; ან კი როგორ უნდა გაიტა-
 ცოს, თუ მსმენელი იმას ნაღმანაკევის ნახე-
 ვარს ძლივს გაიტებს.

ხშირად გავგიგონია ჩუქებისაგან — ქართუ-
 ლი ენა ტკბილი ენა არ არის, როგორც უნდა
 დაფატებოთ მსმენელი ისეთა თანხმობის ასოე-
 ბით, როგორც, მაგალითად; ე. წ.-

არამუსიკალური ასოები უოველ ენაში მოი-
 ზავენ. რა ვუყოთ, ჩვენ ვიმუშაოთ და ვეცადოთ

ეს არამუსიკალური ასოები ტკბილად გამო-
თქვამ.

ვევლამ ვიტომ, რომ ფრანგულა ტკბილი
ენაა; მაგრამ რა ვაიგანთ ბელგიელები რა-
გორ ლამაზაკობენ, მაშინ აზრს გამოიხვედომ.
ვისაც გაუგონია ფრანგული ენა თვით საფრან-
კოში (ისიც ვევლამ ანა, მაკლათაად, მარესელ-
ში ძლიან ცუდთ ლამაზაკობენ არც თუ მა-
რიხში ლამაზაკობენ კარგად, როგორც ზოგსა
ქვანია. ვევლამე კარგად ფრანგულს ტურში
ლამაზაკობენ) და ბელგიაში, იმან იტის რამდე-
ნად ცუდთ ლამაზაკობენ ამ უკანასკნელ ქვეყ-
ნაში იმ ენას, რომელიც ათეინად ენად ითუ-
ლება. თვითონ ბელგიელები ამბობენ: ჩვენ
ლამაზაკს საფრანგეთში ძლიუს ვაგვებინებთ
ხალმეთ! მიიყუა? ერთად ერთი მიიყუა ის
არის, რომ გამოთქმა არ უვარგათ.

ესევე ითქმის ჩვენი ენის შესახებ თუ არ
ვევლებით ტკბილად ვალამაზაკათ, ტკბილად
გამოთქვათ, ისიც ტკბილად არ გვეჩვენება.

გარდა იმისა— რომ ლამაზად გამოთქმული
სიტყვა საზოგადოებას ატკბობს, კარგი გამო-
თქმა ხმის ნაკლებადგანებასაც ქვარაფს.

ზორტიეს ხმა ცუდი ქქონდა, მანუელს *),
გამოხნილ მანგულსაც არა ქქონდა ბრწყინვალე
ხმა, მაგრამ მსმენელს არამც თუ მათ შიერ გა-
მთქმული სიტყვები ესმოდა, არამედ დიდი
შთაბეჭდილებაც ქქონდათ.

მიიყუა? კარგი გამოთქმა ქქონდა ერთსაც
და შეარესაც.

იყო საფრანგეთში კიდევ ერთი მსახიობი —
ადრომ. არც ხმა ქქონდა ხეინანა და კბილე-
ბიც ბეური აკლდა, მაგრამ მისდა მიუხედავად
მსმენელს ესმოდა ყოველივე ასო და ეს მხო-
ლოდ იმიტომ. რომ კარგი გამოთქმა ქქონდა.
რად შორს მივდივართ: ალექსი მუსხიშვილს
მაინც და მაინც ხმა სუფთოვო არა აქვს, მა-
გრამ მსმენელს ყოველისფერი კარგად ესმის.

გარდა იმისა, რომ ცუდი გამოთქმული
საზოგადოებას ვერ გავიტარებ; ცუდი გამოთ-
ქმით შეიძლება აზრსაც დაუხვადეს. რასაკვირ-
ველია, ამხარია სიტყვები ქართულში იმდენი
არ არის, როგორც ფრანგულსა და ინგლისურ-

ში და არც ისე ძლიან ემსჯელებს, მაგრამ მა-
ინც არის.

წარმოადგინათ სათქმელი გზაქვს: „ცუდ
დღეში ჩავვარდი... თუ ამ ე-ს კარგად
და შეაფთოდ არ გამოთქვამთ, ამ ფრანსს სულ
სხვა მნიშვნელობა ექნება. თუ ვიტყვით: ცუდ
დღეში ჩავარდი, ეს იმას ნიშნავს: შენ ჩვერ-
და ცუდ დღეში და არა შეო.

ამის შესახებ ერთი ამბავი მავანდებს.
ნება მთქმეთ მოვიხროთ.

სულ ბავშვი გახლდით. თავდახურვაც ეტ-
ლით—ი ჩვენში „ღინეიკასა“ რომ ეძახიან—
ვევლამი სდდაც წავუდით. შეუტლედ ბიძაქვი
გახლდით. მე ბებიაჩემს ვეუქვი კალთაში. მიფ-
დივართ... უცებ ბებიაჩემი ეუბნება შეუტლეს:
„შვილო, ვასო, ვვარდები, ვვარდები ეტლი შეა-
ჩერეთ“ ..

— ექვ. დედი, ამ შეაღამისს ვარდებს
სადა ქხედავ ..—მართლაც, სდამო ხანი იყო.

ბებია ჩემი კიდევ სულ იმას გაიძახოდა:
„შვილო ვვარდებო“... ბიძამ ეტლი არ შეაჩე-
რა, მე და ბებიაჩემი ჩამოვცვივდით. მე გადავ-
რჩი, ბებია ჩემმა მკლავი იდრძო და დღესაც
სტეპავ; და ვევლამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ
ორი ვ კარგად არ გამოთქვას.

მასსადამე, ვევლამთ ყოველი სიტყვა კარ-
გად და შეაფთოდ გამოთქვამთ ხალმე. ტკბილად
ლამაზაკი არც ისე ძნელია, როგორც ზირველ
შეხედვით ეგონება კაცს; საჭიროა მხოლოდ
თვითეულ ასოს არ დავტანთთ ხმის ძადა, სიტ-
ყვას არ გავაჭიანურთთ: ვკრიდით სიმღერით
ლამაზაკს, ეს ძლიან დიდი ნაკლია.

გიორგი ჯაბაღარი
(გაგორძელება, იქნება)

ქართული სახიობა

სახალხო სახლი 4 დღისობისთვის წრემ წარ-
მოადგინა ი. გუდუხანიშვილის „გამცემი“, რომელმაც
აუბრებში ხალხი მიიხიდა. ეს პიესა სამართლიანად
უყვარს ხალხს და, ვგონებთ, კვირაში სამჯერ რომ
დაიდგას, ხალხი მუდამ დაესწრობა. ხალხი სწყურია
მშობლიური რვავე ტუარი, თვისი ცხოვრების სარკეში
ჩანვდეა და წრის გამგეობამაც ხალხის ამ მოთხოვნი-
ლებას უნდა გაუწიოს, ანგარიში. რეისორის კ. შათი-
რიშვილის სახელად, ვესა რიგიანად იყო დაღმეუ-

*) საფრანგეთის ცნობილი მსახიობი.

ლი და მოთამაშეთა უმეტესობამაც მთლიან შთაბეჭდილება დასტოვა. ა. შანშიევი ღირსეული და ნიჭიერი აღმასრულებელია შაქროს როლისა, მხოლოდ საყვედური ეთქმის, შავ და შიგ როლი რომ არ იცოდა. ტ. ბარათაშვილს (მარჯვლ.) ამ სეზონში, სიხანს, დიდი ტერიტორია აწევს და ამიტომაც ემწევა როლის უცოდინრობა და ერთგვროვნება, აგრეთვე მეტი გულწრფელობის გამოჩენა ჰპირდება. ს. რომანიშვილი — დეგერუძისამ (დარია) საუცხოო ხ ტება გვიჩვენა: მისი ყოველი სიტყვა, მიმოხევა-გამოხედვაც ძველი დროს ნენიერ კნინას ასურათებდა. ან. ქაქიკემ ნინოს სულიერი ტანჯვის დაკვირვებულ გადმოცემით ძლიერი დრამატული წუთები გ ნაცდევინა მაყურებელთ. ა. მეტრეველი ზედგამოჭრილი სიკო იყო, — ვერც კი წარმოიდგენდით, თუ სიკო სხვანაირი იქნებოდა, — არის როლები, რომლებიც ამ ნაშაგდარ სცენის მოკვარის ბუნებას ფისხლ-ზორკება, ასეთია სიკოს როლიც. ვ. ნინიძე ჩასწვდა მოლიბერალო ჯენტლმენი მებატონის (არჩილი) სულისკეთებას და ცხვილად განასახიერა, სამაგიეროდ მისი დის ელენეს აღმასრულებელი (თ. ნარაიძე) ვერ იყო შესაფერი: უფრო „გაქანაუებულ“ კოპიტ არ სებას მოგაგონებდათ, ვიდრე ნახ, ჰეროვან თავადის ასულს. მ. სვანელი (ლევი) და მამაჯანოვი (მხახკა) „ამხანაგებს“ მხარს უჭერდნენ: მათი როლებს უცოდინრობა მიძიმე მდგომარეობით (შაქროსთან შეხვედრა) იფარებოდა.

დამწრეთა შორის შავ და შიგ (განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში) წესი ირღვეოდა, არა ერთ გზის გეითქვამს, რომ თეატრში მომხელელმა უნდა აცოდეს, არა უწმინდეს ადგილას მიდის და თითონვე დაიკვას წეს-რიგი, არა ღრიალით. **უსამართლო**

ნაკრუხის კლუზში, 6 ლენ., პრესმანის ლოტბარობით გაიმართა სიჰეზიან ორკესტრის სამუსიკო სადამო. პროგრამა შინაარსიანი იყო. ორკესტრმა მოხდენით შეასრულა გენაკვალე, სამშობლო (გაამეორებინეს), პოლკა-მანურკა და სხ. ყველა ნაქრის შესრულების შემდეგ საზოგადოება ტაშით აჯილდოებდა ლოტბარს, დიდმელაშვილმა მშვენივრად დაუკრა ვიოლონჩელზე, ს. მ. სილინსკინმა საუცხოოდ ხელოვნებით დაუკრა ქსელაფონზე (გაამეორებინეს), დასასრულ ორკესტრმა შეასრულა მარში „ნარფუხის კლუბი“. პრესმანის მიერ სხვადასხვა ჰანგებდნ (ლეკური, სამშობლო, ბაიათი) შედგენილი **ლი**

ბამონს **წ. მ. ს. დარამ** **წ. მ. მ.** კვირას 27 ენკენ. წარმოადგინა „ქრეკობი“.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ერთი ფრიალ სასიხარულო მოვლენა, რომელიც ქართულ პროგრულ კულტურულ ცხოვრებაში ხლა ჩნდება და რომელსაც, ჩემის აზრით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც თეატრალურ სფეროში, ისე სხვა კულტურულ საქმიანობაში. ეს ვახლოვთ ქართველ ებ-

რავლთა ჩვენთან დაახლოება, მათში ჩვენი ეროვნული კულტურის შეტანა და ჩვენ შორის ძმური კავშირის განმტკიცება. ბაქოს ქართულ წარმომადგენლებზე არასდროს არ მინახავს ქართველი ებრაელები. 27 ენკენ. წარმოდგენამ-კი ბევრი მათგანი მიიზიდა, მართალია ამას უნდა უმაღლოდეთ პიესის შინაარს, რომელიც ებრაელთა ბედზე ცხოვრებას ნათლად ასურათებს. მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ქართველ ებრაელებში ქართულ კულტური აღმი ლტოლვა არსებობს და ათუ ცდა და ენერჯია იქნება ჩვენი მხრე, დარწმუნებული ვარ, ბევრ საშუალებათა გამოხატვა შეიძლება, რომ ჩვენ ა და მათ შორის დაახლოების და შეკავშირების ძალი გაუბათ, საჭიროა ამ სასიხარულო მოვლენას ანგარიში გაუწიონ ბ. წ. კ. საზოგადოების განყოფილებ მ და იქაურმა ქართულმა სამხატვრო-სალიტერატურა წრემ.

რაც შეეხება პიესის დ დემას, ნათლად ემჩნეოდა ბ. რუენისორის გამოცდილი ხელი. მასიური სცენა უკანასკნელ მოქმედებაში შესამჩნევი იყო. ვ. შალიკაშვილი ასრულებდა რებელიეზების როლს, რომელმაც საესკების გადმოგვცა მოხუც სიონისტის სულიერი ტკივილები, ებრაელთა დაბეჩავებულ ცხოვრებათა და მათი შვილებისაგა სიონიზმის მოწინააღმდეგე აზროვნებათა შეთვისებით გამოწვეული. მეორე მთავარ როლს ასრულებდა ბ. ა. ანობაძე, (იანბან), რომელიც, მართალია ცდას არ აკლებდა, რომ ნამდვილი ნახმანი ყჩვენებია მაყურებელთათვის, მაგრამ სამწუხაროდ, აქა-იქ აშლაშებდა.

კარგი იყო ქანი მ. ქილარჯიშვილი დიას როლში, განსაკუთრებით იმ ადგილას. საცა მამას (რებელიეზის) უცხადებს, არა ებრაელი (ბერიოზინ) მიყვარსო.

შესაფერისნი იყვნენ ბ. ბ. გ. ჰავლიაშვილი (ქორუბი), ა. ჰავლიაშვილი (ბერიოზინ), დ. კუმბუროძე, (მოლიმე). არ მოგვეწონა ბ. ჯიქია (იხერსონი) და მატარაძე ექიმის როლში. პირველი, როგორც იტყვიან „ხაკახით“ თამაშობდა, მეორეს კი როლის უცოდინრობაც ეტყობოდა. ბ. მატარაძე გამოკდილი სკენის მოყვარეა და მას მეტი მოეთხოვება **სან**

საშუაში კვირას, 27 ენკენ. ადგილობრივ რკინის გზის საკრებულოს დარბაზში გაიმართა კონცერტი, 2 განყოფილებად ბარიტონ ენ. ზოჯის, ახალგაზრდა მომღერალის და ლეკავას (ბასი) ქ. კუროალიოვისა და სკოპის დამკვეთელი ორკესტრის მონაწილეობით თუმცა კონცერტი შინაარსით (იტალიური, ფრანგული და რუსული ჰანგებ) შეტად საინტერესო იყო და მომღერლებმაც ნაიხრი ნიმრები აყურადღებოდ შეასრულეს, მაგრამ, რადგან დამწრეთა უმრავლესობა ქართველობა იყო, ამიტომ ბევს არც-კი გაუგია სცენადათა, დუეტების და ოპერებიდან ამოღებულ პროლოგების არც შინაარსი და არც მუსიკალური ჰანგთა ვლერანი. საზოგადოების თხოვნით ბ. ლეკავამ შეასრულა ქართულად „ელეგია“ ი. ჯავახიძისა და

ქ. კურაელითვისაჲკი გშენიერის კილოთი „მხოლოდ შენ ერთს“. თუ ეს ქართული სიმღერები არა, დამწერე საზოგადოება ნასიამოვნები ვერ გავიღოდა დარბაზიდან. არა სსსიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: აფიშებში აცხადებენ ამა თუ იმ მომღერალ დამკერვლს და სცენ ზე კი სხვა გამოდის. ამ საღამოს. ბ. ბაქრაძის მაგიერ, რომელსაც დამსწრენი სულ-განაბულნი მოვლოდნენ, გამოვიდა უცნობი ბ. როკვა. საზოგადოება ბლომად დაესწრა.

ნიკო. გურული
საზოგადოებრივი აუდიტორიაში 4 ღვინ. წარმოადგინეს „პეპო“. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა გვარიანი იყო ბეგლარიძე, (ხიმშიშეთი), მატარაძისა (კვე). დამსწრეთა უმრავლესობა ბავშვები იყვნენ, (80%) წარმოდგენა 9¹/₂ დაიწყო და 12¹/₂ გათავდა.

წვრილი ამბები
 ➔ **ქუთაისის დასის საზოგადოებრივი** ბრწყინვალედ დაიწყო 1 ღვინობისთვის „სინათლე“-ს წარმოდგენით. პიესა გაიმართეს. ორივე წარმოდგენას აუარებელი საზოგადოება დაესწრა და პიესის შესამედ დადგმა მოითხოვა. პირველი წარმოდგენის წინ დასის მეთაურმა შლოვა დალიანმა სიტყვა წარმოთქვა.

➔ **დასახსუკაზული მფარდის ს. მგალო-** **გლიშვილის** რამდენიმე საყმაწვილო მოთხრობა ერთ წიგნად იბეჭდება გორში (გამოცემა ი. კერესელიძისა).

➔ **ვალ. გუნია** კვირაში ერთ წარმოდგენას გამართავს ხარფუხის კლუბის სცენაზე.

➔ **ხარფუხის საზოგადოებრივი კლუბი 4** ღვინობისთვის ახალ ბნაზე (აპოლოსეულში) გადავიდა. 6 ამ ოვიდან შეუდგნენ სცენის გაცეთებას (სიღრმე-სიგანით 12 არშინი.) ბინას რამდენიმე დარბაზი აქვს — სათეატრო, საბილიარლო, ფოფო, სასადილო და სხ.

➔ **საგველ დავადაიანმა**, ზაშურის გიმნაზიის 7 კლ. მოწაფემ, სთარგმნა გ. ლესინგის 3 მოქტრატედა: „ემილია გალოტი“.

➔ **ზაშურის** დრ. წრე 11 ღვინ. სდგ. „და-შმას“.

➔ **სოფ. ძვირხეთის მცხოვრებმა**, მემამულე დათიკო ნემსაძემ, ზაშურის ქარ. დრამ. წარს შესწირა 25 მან სათეატრო ფარდის შესამენად.

➔ **ბორჯომის** წერა-კითხვის საზ. განყოფილებასთან არსებულს ქარ. სცენის მოყვარეთა წრეს დავით ძნელაძის მეთაურობით გადაუწყვეტია მართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენები, ამ მოკლე ხანში დაიდგმის „არსენა“.

➔ **საგველ გლახ-მგალოგაელთა გუნდი** ღვინობისთვის ემისკობაშია შილა-მღვიმის გაიხმო. აგალობა მოუწონა, დასახუქრა, წიგნები დაურიგა საკუთარის საგულისხმო წარწერებით და მომავალ წინობისთვის ფოტო გაიკია.

➔ **5 შიუკაშვილის დრამა** „სიმბინჯი“ სომხურად წარმოადგინეს 7 ღვინ. სახალხო სახლში.

➔ **ნოქათა კლუბი** ორშაბათს, 12 ღვინობ. გ. იორდანიშვილას, ს. ტარაშვილისა და სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ბატონი და ცმა“ და „ჭკუისა მკირს“.

➔ **სახალხო სახლში** დღეს. შაბათს, 10 ღვინ. წარმოდგ. იქნება ტ. რაუიშვილის „მეზობლები“.

➔ **მგოსანს ს. დ. ბაღმონტს** ქუთაისში დიდის ზვიმი შეეგებნენ.

რედ. ბაქრაძე-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

Дозволено Военной Цензурой

Типография „Сорапаны“

ხარფუხის საზ. კლუბი მიხეილის პარ. № 151

ესი კვირის პროგ. 10 ღვინობისთვის. 18-ღვინობისთვის (სიმებიანი ორკესტრის კონცერტი) კვირა (პრესმანის ლობტარობი) ორშაბ. სინემატოგრაფი სამშაბ. სიმებიანი ორკესტრი ოთხშაბ. სინემატოგრაფი ხუთშაბ. სიმებიანი ორკესტრი პარასკევს. სახანდარი, სინემატოგრაფი შაბათი (სიმებიანი ორკესტრის კონცერტი) კვირა (პრესმანის ლობტარობი) შინაგალი ფასი: მამაკენი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს 8¹/₂ საათზე.

ჩვეულებრივ ვახუშაძე
ქართულ სიგლარა—გალოგას
 და ვახუშაძე მომღერალ-მგალოგებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხებთ.
მიხეილ ქახსაძის ტან
 (ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში. ორშაბათ., ოთხშაბათ და პარასკეობით საღამოს 6—9 ს.ღვ). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს.
ვახუშაძე მუშა ხალხსაც.

სცენის მოყვარეთა მუშაკთა საყურადღებოდ: ისყიდება წიგნაკი:

И. Т. Полумордвиновъ.
Списокъ пьесъ
На грузинскомъ языкѣ,
 разрѣш. къ представл. на сцен. Кавк. Края. ц. 40 коп.
 Тифлисъ Цензурный Комитетъ

ქუთაისში

გალოგას
 თბილისში

კარგადი. ა. ს. აგლოგასისა
 აბო-გლოგასი
 და გლოგასისა პრ. კუთხე.

სტამბა „სორაპანი“